1941.

[...]ნათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

უფასოდ

# კრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2 | ყოველთვიური ჟურნალი... 

შინაარსი

1. ბრძანება № 187—ქუთაისის და ბათუმის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლების საორგანიზაციო და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ . . . . . . . 2
2. ბრძანება № 303—საშუალო სკოლის მოსწავლეთა ველად გასვლის შესახებ . . . . 4
3. ბრძანება № 614—1941 წ. ბავშვთა თვითშემოქმედების ოლიმპიადის ჩატარების შესახებ 5
4. ბრძანება № 559—1941 წ. ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ 6
5. 1940/41 სასწავ. წლ. I ნახევ. მათემატიკის სწავლების შედეგების შესახებ . . . . . . 8
6. О состоянии преподавания русского языка и литературы в нерусских школах Грузинской ССР за первое полугодие 1940/41 учебного года . . 12
7. დადგენილება საქ. სსრ განსახკომის კოლეგიისა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პრ. კავშირის ც. კ. პრეზიდიუმის გაერთიანებული სხომისა . . . . . 16
8. ცირკულარულად—ავტონომიური სსრ განსახკომებს, საოლქო, სარაიონო და საქალაქო განათლ. განყოფილებებს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სარაიონო კომიტეტებს . . . . . . . . . . . . . . 17
9. დებულება—სახ. განათლ. სარაიონო განყოფ. პოლიტგანინსპექტორის მუშაობისა . 19

F598

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 187

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. 15 იანვარი**

### ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლების საორგანიზაციო და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

გავეცანი რა, ქუთაისის და ბათუმის პოლიტგანსასწავლებლების მუშაობის გამორკვევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ პოლიტგანსასწავლებლებს მიმდინარე სასწავლო წლის 1 სემესტრში აქვთ ერთგვარი მიღწევები:

განმტკიცებულია სასწავლო რეჟიმი და ძირითადად გატარებულია გეგმიანი მუშაობა (ქუთაისი). გაკვეთილები ტარდება მტკიცე ცხრილის მიხედვით (ქუთაისი, ბათუმი); სასწავლებელში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტმასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა (ქუთაისი).

ძირითადად სასწავლებელი დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით; კარგად არის დაყენებული სასწავლებლის მეთოდური მუშაობა, ტარდება ღია გაკვეთილები, ეწყობა გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება (ქუთაისი); საგრძნობლად გაუმჯობესებულია რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება (ქუთაისი—მასწავლებელი ე. მაჭავარიანი, ბათუმი—მასწავლებელი ღლონტი). მასწავლებელთა უმრავლესობა გაკვეთილებს ორგანიზებულად ატარებს; თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული მოსწავლეთა მეტყველების კულტურის განვითარების საქმეში (ქუთაისი); საგრძნობი წარმატება არის მოპოვებული გეოგრაფიის სწავლებაში (ქუთაისი—მასწ. მ. რიჟინაშვილი), მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული განვლილ მასალას, რუკას და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა ქუთაისის და ბათუმის პოლიტგანსასწავლებლებს ახასიათებს რიგი დეფექტებისა:

მომზადებულად არ ტარდება პედსაბჭოს სხდომები, არა საკმარისად არის გაშლილი მუშაობა ორწლიანობის აღმოსაფხვრელად, ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების შემთხვევებს (ბათუმი);

გამოყენებული არ არის ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების და სამხედრო საქმის სასწავლო ხელსაწყოები და კაბინეტები (ქუთაისი, ბათუმი); ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული საკლუბო და საბიბლიოთეკო სპეციალური საგნების სწავლება (მაგ. მოწაფეებმა არ იციან კეტერის ცხრილის გამოყენება წიგნის აღწერილობა, ინდექსაცია და წიგნის ტექნიკური გაფორმება).

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური დონე ფიზიკაში და მათემატიკურ საგნებში (ქუთაისი—მასწავლებლები: ჯანჯღავა, ლევიძე, ბათუმი მასწავლ. ბაჯელიძე);

ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა მეტყველების კულტურის განვითარებას, დაბალია წერითი სავარჯიშოების ხარისხი (ბათუმი—მასწ. მ. ბეჟანიძე).

აჭარის ავტ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევს ბათუმის პოლიტგანსასწავლებლის მუშაობას; სასწავლებელი დღემდე არ არის უზრუნველყოფილი შესაფერისი ბინით, რის გამო მეცადინეობა მესამე ცვლაში წარმოებს. არსებულ საბინაო პირობებ-

ში სასწავლებელს საშუალება არა აქვს გაშალოს საწრეო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ვბრძანებ:

1. პოლიტგანსასწავლებლების დირექტორებმა ამთავითვე დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად. კლასის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა სისტემატური დახმარება და მეთვალყურეობა გაუწიონ მეორეწლიან მოსწავლეებს და უზრუნველჰყონ მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა.

2. ქუთაისის განათლების განყოფილებამ პოლიტგანსასწავლებლის და პედსასწავლებლის დირექტორებთან ერთად მოაგვაროს პოლიტგანსასწავლებლის მიერ კაბინეტებით სარგებლობის საკითხი, უზრუნველჰყოს კაბინეტების ხელსაწყოების მოვლა და შესაფერისად გამოყენება გაკვეთილზე.

3. საბიბლიოთეკო საგნის მასწავლებლებმა (ბათუმი—პაპალაშვილი, ქუთაისი—ჯაფარიძე) სერიოზული ყურადღება მიაქციონ კატალოგრაფიის (წიგნთა აღწერილობა), კლასიფიკაციის (კეტერის ცხრილით სარგებლობა, წიგნის აღწერილობის ყველა სახის შესწავლა, ინდექსების სწორი განსაზღვრა) და მკითხველთა შორის მუშაობის მეთოდიკის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას.

4. პოლიტგანმუშაობის კურსის შესწავლის დროს ყურადღება მიექცეს თეორიული სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირებას: სისტემატურად ჩატარდეს პრაქტიკული ვარჯიში, როგორც სასწავლებელში, ისე სასწავლებლის გარეშე (ქალაქის და სოფლის საკლუბო დაწესებულებებში).

5. მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებლებმა ამხ. ამხ. ლევიძემ (ქუთაისი) და ა. ბაჯელიძემ (ბათუმი) გააძლიერონ მუშაობა თავის თავზე, აიმაღლონ კვალიფიკაცია და მეტი ყურადღება მიაქციონ გაკვეთილების გათვალისწინებას და პრაქტიკულ ვარჯიშს. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლების დირექტორებმა სისტემატური დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაში (გაკვეთილების გეგმების განხილვა-გარჩევა, გაკვეთილებზე ხშირი დასწრება, მეთოდთათბირების ჩატარება, სათანადო ლიტერატურით, უზრუნველყოფა და სხვ.).

6. სასწავლებლის დირექტორებმა კიდევ უფრო გააღრმავონ მათემატიკის წრეების მუშაობა, უზრუნველჰყონ მოწაფეთა მეტი რაოდენობით ჩაბმა წრეში, წრის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.

7. ბათუმის პოლიტგანსასწავლებლის დირექციამ უზრუნველჰყოს ქართული ენისა და ლიტერატურის 1 სემესტრის გეგმით გათვალისწინებული და დაუმუშავებელი საკითხების შესწავლა სასწავლო წლის ბოლომდე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში მეტყველების კულტურის ამაღლებას, ტექსტზე მოსწავლის ინდივიდუალურ მუშაობას და პოეტიკის საკითხების თანამიმდევრულად შესწავლას მხატვრული ნაწარმოების ტექსტთან დაკავშირებით.

8. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა უზრუნველჰყონ საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების სწორი ორგანიზაცია; წერითი სამუშაოებისათვის შეარჩიონ კონკრეტული თემები (ნაწარმოების გმირის დახასიათება, მოკლე შინაარსის გადმოცემა და სხვა). განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტილისტურ შეცდომებს, სასვენი ნიშნების სწორად ხმარების ჩვევების გამომუშავებას, კალიგრაფიას და სხვა. თითოეული წერითი ნამუშევარი მასწავლებლის მიერ უნდა სწორდებოდეს გულდასმით და დროულად.

9. ბათუმის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექციამ დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს სასწავლებლის საქმის წარმოება (მოწაფეთა პირადი საქმეები, ბრძანების წიგნი, პედსაბჭოს სხდომის ოქმები და სხვ.).

ბიბლიოთეკა
თბილისი

10. ბათუმის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექციამ მოსწავლეთა კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღოს გადამჭრელი ზომები გაკვეთილზე მოსწავლეთა დაკლება-დაგვიანების წინაალმდეგ.

11. აჭარის ავტ. სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ნიჟარაძემ უზრუნველჰყოს ბათუმის პოლიტგანსასწავლებელზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, უზრუნველჰყოს ის სათანადო ბინით და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი პოლიტგანსასწავლებლის მუშაობაში არსებული ნაკლის დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისათვის. გაანთავისუფლოს ბათუმის პოლიტგანსასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის არასპეციალისტი მასწავლებელი ამხ. ბეჟანიძე და მის ადგილზე შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურა.

12. ქუთაისის პოლიტგანსასწავლებლის ფიზიკის მასწავლებელი ამხ. გ. ჯანჯღავა განთავისუფლდეს ამ საგნის მასწავლებლობიდან, როგორც არა სპეციალისტი და გამოყენებულ იქნას ქიმიის მასწავლებლად სხვა სკოლაში, ხოლო მის [illegible] განათლების განყოფილებამ წამოაყენოს შესაფერისი კანდიდატურა.

13. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას სსსრ ყველა პოლიტგანსასწავლებლის პედსაბჭოს სხდომებზე და მის საფუძველზე დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

14. დაევალოს პოლიტგანმუშაობის სამმართველოს აღნიშნული ბრძანების შესრულების შემოწმება და შედეგები მომხსენდეს ა. წ. მარტის 31-მდე.

**საფუძველი:** კოლეგიის ა. წ. 11 იანვრის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის**
**მოადგილე მ. ბურჭულაძე**

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 303

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წელი „25“ იანვარი**

### საშუალო სკოლის მოსწავლეთა ველად გასვლის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ საქართველოს ზოგიერთი სკოლის მიერ ველად გასვლის პრაქტიკის შემოღება წარმოადგენს სასარგებლო წამოწყებას მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების და სამხედრო ჩვევების დაუფლების საქმეში. ზოგიერთი სკოლის (თბილისის—I, 36, 52, 42, 29) მიერ ჩატარებული ლაშქრობა სხვა და სხვა მანძილზე, გარდა სამხედრო მომზადებისა მიზნად ისახავდა მოწაფეთათვის ისტორიულ და სხვა ზოგად განმავითარებელი ცნობების მიწოდებას (არქეოლოგიური გათხრების დათვალიერება, თბილისის მიდამოების გეოლოგიური ქანების შესწავლა და სხვა). გასვლებს ფიზკულტურის მასწავლებლებს (ამხ. ბოსტაშვილი, კაკაურიძე, ბუხრაძე, ღლონტი, გეგელაშვილი) გარდა ხელმძღვანელობდენ სკოლების დირექტორები (ბიბილეიშვილი, სიმონია, ა. გორდაძე, პ. მელაძე, ლ. უჩაევი), ისტორიის მასწავლებლები (ბეჟუაშვილი, გოგუაძე) და სამხედრო ხელმძღვანელები (36, 52 სკოლა— ა. ბერუჩიანი).

საკვირაო ველად გასვლის პრაქტიკის შემოღების შემდეგ 1940 წლის განმავლობაში საქართველოს სკოლების 50.000-ზე მეტმა მოწაფემ მიიღო მონაწილეობა ლაშქრობაში და ჩააბარა სამხედრო მნიშვნელობის ნორმატივები ყუმბარის ტყორცნა-

ში, გადასვლაში და საველე დაბრკოლებათა გადალახვაში.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ამ გადასვლებს სკოლების ცხოვრებაში ჯერ კიდევ არა აქვს სისტემატური ხასიათი: სკოლების უმრავლესობა შეასრულებს თუ არა თავის საკონტროლო დავალებას და მოწაფეთა განსაზღვრულ რაოდენობას ჩააბარებინებს სალაშქრო ნორმატივს, შემდეგ ამ მეტად სასარგებლო სამხედრო აღზრდის ღონისძიებას აღარ ატარებს.

კვირა დღეს ბავშვებისა და მოზარდთა ქალაქგარედ გაყვანის გამოცდილება თბილისის I, 36, 42, და 52 სკოლებისა მიმაჩნია რა მოწაფეთა ჯანსაღი გართობისა და სამხედრო ჩვევათა შეძენის საშუალებად და აგრეთვე მისაბაძ მაგალითად სხვა სკოლებისათვისაც, **ვბრძანებ:**

1. დაევალოს სკოლის დირექტორებს ყოველმხრივ წაახალისონ ასეთი ხასიათის ღონისძიებანი და შეიტანონ სკოლის წლიურ გეგმაში 8-10 ჯერ ველად გასვლის ორგანიზაცია სხვა და სხვა მარშრუტით.

კერძოდ, გაუწიონ პრაქტიკული დახმარება წითელი არმიის 23 წლისთავის აღსანიშნავ კომკავშირული კროსის, პიონერთა და მოწაფეთა მე-4-ე საკავშირო სამხედრო ფიზკულტურული შეჯიბრების ორგანიზაციას.

2. დაევალოს ფიზიკური აღზრდის ინსპექციას, საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი სასკოლო ტურიზმის ფართოდ გაშლისათვის საქართველოს სკოლებში.

3. გაზ. „საბჭოთა მასწავლებლი"-ს რედაქციამ ფართოდ გააშუქოს სკოლების მიღწევები ამ დარგში.

**საფუძველი:** საქ. განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 14 იანვრის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი**
**გ. კიკნაძე**

---

# ბრძანება № 614

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. „12" თებერვალი**

## 1941 წელს ბავშვთა თვითშემოქმედების ოლიმპიადის ჩატარების შესახებ.

ვაფიქრებ რა დიდ მნიშვნელობას ბავშვთა ყოველმხრივ განვითარების საქმეში ბავშვთა თვითშემოქმედების ოლიმპიადის ჩატარებას, **ვბრძანებ:**

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ბავშვთა თვითშემოქმედებითი ოლიმპიადის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად ფართოდ გაშალონ ბავშვთა ოლიმპიადისათვის მზადება სკოლებში.

ბ) განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესონ, რომ ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა მიმართ ზუსტად იქნეს დაცული სავალდებულო მოთხოვნა,—შემოქმედებითი მუშაობის, წარმატებით სწავლასთან შეხამების აუცილებლობის შესახებ.

2. თვითშემოქმედების ოლიმპიადის ჩატარებისათვის ბავშვთა მზადების დათვალიერება მოეწყოს:

ა) თვით სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში—1941 წლის მარტში და აპრილში.

ბ) სარაიონო და საქალაქო—1941 წლის მაისში,

გ) ხოლო საოლქო—ივნისის პირველ რიცხვებში (1-10-ივნისამდე).

3. დათვალიერებებზე ნაჩვენები იქნას ყველა ის საუკეთესო ნიმუში, რაც სკოლამ წლების განმავლობაში მოიპოვა. სასკოლო დათვალიერებებზე გამოვლინებული საუკეთესოდ შემსრულებელი კოლექტივები და ცალკეული ბავშვები წარდგენილ იქნას სარაიონო დათვალიერებაზე; ასევე სარაიონოდან—საოლქოზე და საოლქოდან კი, საორგანიზაციო კომიტეტის სათანადო შეფასების შემდეგ,—რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

4. დაევალოს პიონერთა სახლების (კლუბების) საბავშვო სახლების, ბავშვთა ტექნიკური სადგურებისა და პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორებს, აქედანვე შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას და მიაღწიონ იმას, რომ თითოეული სკოლისგარეშე დაწესებულება წარდგენილი იქნას ოლიმპიადაზე ბავშვთა მრავალსახოვანი თვითშემოქმედებით.

5. დაევალოს მხატვრული [illegible] და სკოლისგარეშე მუშაობის ცენტრალურ კაბინეტს 10 მარტამდე წარმოადგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად დრამატიული, მოცეკვავეთა და სახვითი ხელოვნების წრეების პროგრამები.

6. განსახკომის საშუალო სკოლების სამმართველომ:

ა) 20 თებერვლამდე წარმოადგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად საბავშვო სიმღერების რეპერტუარი,

ბ) ბავშვთა თვითშემოქმედების ოლიმპიადისათვის მზადება შეამოწმოს რესპუბლიკის 7 რაიონში და ადგილებს გაუწიოს სათანადო დახმარება.

**საქ. სსრ განსახკომის მოადგილე**

**მ. ბურჭულაძე**

---

# ბრძანება № 559

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1941 წ. „10“ თებერვალი**

### 1941 წელს ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ.

ზაფხულის პერიოდში პიონერთა და მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლისა, საბანაკო და სამოედნო მუშაობის საქმეზე განათლების ორგანოების სათანადო ხელმძღვანელობისა და დახმარების უზრუნველსაყოფად **ვბრძანებ:**

1. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ:

ა) განსახკომის კადრების სამმართველოსთან ერთად ა/წ 1/5-მდე შეარჩიოს რესპუბლიკურ პიონერ ბანაკებისათვის გამოცდილი პედაგოგები;

ბ) მოაწყოს რესპუბლიკურ პიონერ ბანაკებში გასაგზავნ მასწავლებელთა ერთდღიური სემინარი ა/წ 15/5-მდე;

გ) უზრუნველჰყოს ბანაკსა და საზაფხულო მოედნებზე მომუშავე პედაგოგები საჭირო სახელმძღვანელოებით.

2. საგეგმო საფინანსო სამმართველომ, სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებისთანავე თითოეულ განათლების განყოფილებას აცნობოს პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მოედნებისათვის გათვალისწინებული თანხების რაოდენობის შესახებ.

ა) ცენტრალურმა ბუხჰალტერიამ ა/წ 10—თებერვლამდე შეადგინოს და დაუგზავნოს განათლების განყოფილებებს ინსტრუქცია ბანაკებში გაწეულ ხარჯების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოდგენის წესის შესახებ;

ბ) სოც-დაზღვევის თანხების მიღებისთანავე უზრუნველჰყოს ქალაქებსა და რაიონებზე თანხების განაწილება და გადარიცხვა.

3. აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის საოლქო განათლების განყოფილებამ, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საოლქო, სარაიონო და საქალაქო პიონერთა ბანაკების კომისიების მუშაობაში. დროულად შეარჩიონ გამოცდილი პედაგოგები, უზრუნველჰყონ ბანაკები მოძრავი საბავშვო ბიბლიოთეკებით და ფიზკულტურული მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით.

4. დაევალოს მათვე, საქართველოს ალკკ რაიკომებთან ერთად უზრუნველჰყონ ზაფხულის პერიოდში პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო მოედნებზე და ფორპოსტებზე სისტემატური ხელმძღვანელობა, ამთავითვე შეარჩიონ მოედნებისა და ფორპოსტებისათვის საუკეთესო ადგილები, ფორპოსტები მოამარაგონ საკითხავი ლიტერატურით და ფიზკულტურული მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყოებით.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და დაწყებითი და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ამთავითვე გაშალონ მასობრივი მუშაობა საექსკურსიო ტურისტული მუშაობის ხაზით და უზრუნველჰყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება ექსკურსიების ორგანიზებულად ჩატარებისადმი.

6. დაევალოს მათვე პიონერთა მოედნებსა და ბანაკებში ფართოდ აწარმოონ მხატვრულ აღმზრდელობითი მუშაობა, ჩამოაყალიბონ სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიის, ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის და სხვა სათანადო წრეები.

7. საქ. ალკკ რაიკომებთან ერთად მათვე უზრუნველჰყონ ზაფხულის პერიოდში მუშაობის იმ გვარად წარმოება, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს საჭირო მზრუნველობის გარეშე. სისტემატურად მოაწყონ საბანაკო კომისიასთან ერთად ბანაკების მოედნებისა და ფორპოსტების მუშაობის შემოწმება და მათთვის დახმარების აღმოჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. განემარტოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ სოცდაზღვევის თანხები, რომელიც გადაერიცხებათ პიონერთა ბანაკისათვის, გამოყენებული უნდა იქნას, მხოლოდ პენსიონერების, წითელ არმიელებისა და უპატრონო ბავშვთა საგზურებისათვის და მასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის.

9. დაევალოს განსახკომის ფიზაღზრდის ინსპექციას და სამხედრო ინსპექტორს სამხედრო და ფიზკულტურული მუშაობის დარგში შეარჩიონ საუკეთესო მუშაკები და გაუწიონ მათ სათანადო ინსტრუქტაჟი.

10. დაევალოს პიონერთა სახლებისა და კლუბის გამგეებს, ბავშვთა ტექნიკური სადგურის დირექტორებს, ზაფხულის პერიოდში თავიანთი მუშაობა გადაიტანონ მეტწილად პიონერთა ბანაკებსა და მოედნებზე და ამ მუშაობისათვის წინასწარ მოაგვარონ საჭირო პირობები.

11. პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკებმა ზაფხულის პერიოდში ისე წარმართონ მუშაობა, რომ ნამდვილად იქნეს უზრუნველჰყოფილი პიონერთა და მოსწავლეთა კულტურული დასვენება და მომსახურეობა (თამაში, გასეირნება ექსკურსიები, საუბრები, კინოფილმების ჩვენება, სამხედრო თამაშის მოწყობა, ნორმების ჩაბარება და სხვა).

12. დაევალოს კულტურის სახლის, კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორებს, სარაიონო და სოფლის საკლუბო დაწესებულებათა გამგეებს ზაფხულის პერიოდისათვის წინასწარ შეადგინონ ბავშვთა კულტმომსახურეობის გეგმა და უზრუნველჰყონ ზაფხულის პერიოდში სოფლად და ქალაქად ბავშვთა გაერთიანება სათანადო თვითმოქმედ წრეებში.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი**

**გ. კიკნაძე**

დამტკიცებულია
საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის მიერ
1941 წ. 5-II.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 1940/41 სასწავლო წლის I-ნახევარში მათემატიკის სწავლების შედეგების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში.

ადგილებზე შემოწმებით დადასტურებულია, რომ საქართველოს სსრ სკოლებში მათემატიკის სწავლების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. გაუმჯობესდა მთელ და წილადიან რიცხვებზე არითმეტიკულ მოქმედებათა წესების, განტოლებათა შედგენით ამოცანათა ამოხსნის, ფართობისა და მოცულობის გამოანგარიშების ფორმულების, მათემატიკურ გამოანგარიშებათა სათანადოდ დალაგების სწავლებისა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საქმე.

მიუხედავად ამისა, მათემატიკის სწავლების საქმეში მთელ რიგ ნაკლოვანებებსაც აქვს ადგილი:

ა) **არითმეტიკის სწავლებისას მრავალ** სკოლაში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება ამოცანების ამოხსნას და ზეპირ ანგარიშს, ხიზაბავრის (ასპინძის რ.) საშუალო სკოლის (მასწ. ს. კ-ძე) მე-5 კლასის მოსწავლეები 20-სა და 30-ს უდიდეს საერთო გამყოფს მარტივ მამრავლებად დაშლის საშუალებით პოულობენ.

მრავალ სკოლაში თვალსაჩიონებას არ იყენებენ, მაგ. დიღმის (თბილისის რ.) საშუალო სკოლის (მასწ. ნ. გ-ლი) მოსწავლეებს კონკრეტული წარმოდგენა არა აქვთ სიგრძის საზომ ერთეულებზე, მილიმეტრი წარმოდგენილი აქვთ როგორც მეტრის ოდენა.

ზოგან ყურადღება არ ექცევა მოქმედებათა თანმიმდევრობით შესრულებას: დიღმის სკოლაში (მასწ. თ. ზ-ლი) 1986+2405×608 ასე ამოხსნეს: ჯერ შეკრიბეს, ხოლო შემდეგ გამრავლება აწარმოეს, ნულებით დაბოლავებულ რიცხვების გამრავლებისას ნულებსაც ამრავლებენ, არ იყენებენ რაციონალურ ხერხებს და სხვ. ასეთივე დეფექტები ახასიათებს არითმეტიკის სწავლებას ავჭალის (თბილისის რ.—მასწ. ი. ლ-ლი), ჭობარეთის (ასპინძის რაიონი—მასწ. ნ. დ-ძე), გვიმბალაურის (ლანჩხუთის რ.—მასწ. თ. ჩ-ძე) და ზოგ სხვა სკოლებს.

ბ) **ალგებრის შესწავლის დროს ყურადღება** არ ექცევა არითმეტიკაში შესწავლილი წესების განზოგადება-გაღრმავებას. ზოგი სკოლის მოსწავლე არასწორად (უკოეფიციენტოდ და უმაჩვენებლოდ) წერს ალგებრულ გამოსახულებას. ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს საშუალო სკოლის (მასწ. ბ. მ-ძე) მეექვსე კლასის მოსწავლეებმა ალგებრული გამოსახულება შემდეგნაირად დაწერეს:

$$3a^3-3b=aaa+aaa+aaa-bbb+bbb+bbb$$

იმავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ე. კ-ძე) არ იციან გამრავლების და გაყოფის შემოკლებული ფორმულები; ვერ შესძლეს კვადრატული სამწევრის დაშლა პირველი ხარისხის მთელ კოეფიციენტებიან მამრავლებად.

რიგ სკოლაში მოსწავლეებს კარგად არა აქვთ შეთვისებული რადიკალები და მათზე მოქმედებანი: ლესის (ლანჩხუთის რ.) საშუალო სკოლის (მასწ. ი. შ-ძე) მე-9 კლასის მოსწავლეებმა ვერ შესძლეს 40,8-დან მიახლოებითი კვადრატული ფესვის ამოღება. ანალოგიური მდგომარეობაა აცანის (ლანჩხუთის რ.—მასწ. კ. გ-ია) დვირის (ბორჯომის რ.—მასწ. გ. მ-ძე), ზესტაფონის რ. ფეროსა (მასწ. ბ-ძე) და მაიაკოვსკის I საშუალო (მასწ. დ.—ლ-ძე) სკოლებში.

ზოგ სკოლაში განტოლებათა შესწავლისას კმაყოფილდებიან მაგალითებზე ვარჯიშობით, არ იყენებენ გრაფიკულ ხერხს, არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მიღებული ფესვების გამოკვლევას, როგორც ანალიზურად, ისე გრაფიკულად (ბორჯომის რაიონი—დვირის საშუალო სკოლა, მაიაკოვსკის 1-საშუალო სკოლა, ზესტაფონის რაიონი—ქვედა-საზანოს საშუალო სკოლა და სხვ.).

ბევრ სკოლაში ზერელედ მუშავდება განტოლებათა ¿ამოკვლევა და კომპლექსურ რიცხვებზე მოქმედებანი.

გ) **ზოგიერთი მასწავლებელი საფუძვლიანად არ არის გაცნობილი გეომეტრიის სწავლების მეთოდიკას,** რის შედეგადაც სწავლება ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე სწარმოებს; მოსწავლეებმა ზეპირად იციან თეორემები და ფორმულები, მაგრამ არ ესმით მათი შინაარსი. ჯიხაიშის საშუალო სკოლის (სამტრედიის რაიონი) მე-8 კლასის მოსწავლეებს (მასწ. ქ. ლ-ვა) არ ესმოდათ გამოთქმა: „პერპენდიკულარი საშუალო პროპორციულია ჰიპოტენუზის მონაკვეთებს შორის“.

სუსტად მუშავდება აგრეთვე გეომეტრიული ამოცანები აგებაზე და გამოანგარიშებაზე.

დ) **ზოგიერთ სკოლაში ფორმალურად ასწავლიან ტრიგონომეტრიასაც.** მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე, ვერ პოულობენ განსხვავებას ტრიგონომეტრიულ ხაზებსა და ფუნქციებს შორის; ზოგან ზერელედ მუშავდება შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციები (ტოლოშის პედაგოგიური სასწავლებელი—ასპინძის რაიონი —მასწ: ვ. ი-ლი და მაიაკოვსკის I-საშუალო სკოლა—მასწ. დ. ლ-ძე).

ე) ზოგიერთი მასწავლებელი ჯერ კიდევ ვერ იცავს მათემატიკურ სიზუსტეს: ზესტაფონის რ. ფეროს საშუალო სკოლის მასწავლებელმა განმარტა: „წილადის სიდიდე არ შეიცვლება, თუ მრიცხველს და მნიშვნელს გავადიდებთ ერთდაიმავე რიცხვზე“, ტოლოშის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელმა: „გეომეტრიული პროგრესიის წევრი უდრის პირველ წევრს გამრავლებულს მნიშვნელზე“; ჭობარეთის არასრული საშუალო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლენი ამბობენ: „3 ვწერთ და 2 ხელში“, დვირის (ბორჯომის რ.) საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები განმარტავენ: „მრუდის თითოეული წერტილი შემოწერს წრეს“ და სხვ.

ვ) წერითი ნამუშევრების სახეები მრავალ შემთხვევაში ძალზე მარტივია: სუფსის (ლანჩხუთის რ.) საშუალო სკოლის (მასწ. ვ. ჯ-ძე) მე-7 კლასში დაუმთავრებიათ ალგებრული წილადების შეკრება და გამოკლება და საკონტროლო სამუშაოდ მარტივი მაგალითები აუღიათ:

$$1)\ \frac{a2 - 2\,ab}{ab - 2\,b^2};\quad 2)\ \frac{k}{n} + \frac{2x}{n} - \frac{5}{n}.$$

არის შემთხვევები, რომ საკონტროლო წერა სულ არ ტარდება: წალენჯიხის პედაგოგიურ სასწავლებელში (მასწ. ი. ს-უა) სასწავლო წლის დასაწყისიდან 20 დეკემბრამდე საკონტროლო წერა არ იყო ჩატარებული.

ზოგ სკოლაში საკონტროლო ნამუშევრები არ სწორდება დროულად. წალენჯიხის საშუალო სკოლაში (მასწ. ი. ს-უა) მიმდინარე სასწავლო წლის 26 სექტემბერს ჩატარებული საკონტროლო სამუშაო, 18 დეკემბერსაც არ იყო გასწორებული. მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს დიღმის (თბილისის რ.), ქვედა საზანოს (ზესტაფონის რ.) და დვირის (ბორჯომის რ.) საშუალო სკოლებში არის შემთხვევები როცა მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრების გასწორებას ზერელედ ეკიდებიან და მრავალი შეცდომა გაუსწორებელი რჩება. ხიზაბავრის (ასპინძის რ.) საშუალო სკოლის მასწავლებელ გ. მ-ძეს გაუსწორებელი რჩება ასეთი უხეში შეცდომები: და ა. შ.

$$3n^2 - 91\,n + 316 = 0;\ n = 91n + \sqrt{\frac{8281 - 3791}{2}}$$

$$= 91 \pm \sqrt{\frac{4489}{6}}$$ და ა. შ.

ასეთივე მდგომარეობაა ტოლოშის პედაგოგიურ სასწავლებელში, ქვედა საზანოს საშუალო და ზოგიერთ სხვა სკოლაშიაც.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ სთვლის გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი :

1. მათემატიკის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და თითოეული გაკვეთილისათვის საფუძვლიანი მომზადებით უზრუნველჰყონ მათემატიკის გაკვეთილების სათანადო ხარისხით ჩატარება.

2. მათვე საჭირო ყურადღება მიაქციონ პროგრამით გათვალისწინებული თემების სასოფლო-სამეურნეო და ქალაქის წარმოების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეს. მუშაობა თეორიული სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების ხაზით ისე მოეწყოს, რომ მოსწავლეებს სისტემატურად ეძლეოდეთ პრაქტიკაში საჭირო გაზომვა-გამოანგარიშებათა ჩვევები.

3. საკონტროლო წერითი სამუშაო ჩატარდეს ყოველი თემის, ან მისი განსაზღვრული ნაწილის დამთავრების შემდეგ ისე, რომ ზუსტად იქნას დაცული განსახკომის კოლეგიის დადგენილება საკონტროლო წერითი სამუშაოს ჩატარების რაოდენობის შესახებ (იხილეთ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული, 1939 წელი, დეკემბერი) საკონტროლო ნამუშევრები გასწორდეს დროულად, აღიკვეთოს საკონტროლო წერითი ნამუშევრების ზერელედ და უდარდელად გასწორება, ნამუშევრების გასწორებისას ყურადღება მიექცეს, როგორც მათემატიკური, ისე ენობრივი და სტილისტური ხასიათის შეცდომებს და ნამუშევრების შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული შესრულებული სამუშაოს ყოველი მხარე.

4. არითმეტიკის კურსის შესწავლისას საჭირო ადგილი დაეთმოს ზეპირი ანგარიშის ხერხებს (შეკრებაზე, გამოკლებაზე, გამრავლებაზე და გამოყოფაზე), ამოცანების ამოხსნას, მოქმედებათა თანმიმდევრობით შესრულებას და ფრჩხილებზე მოქმედებას.

5. ალგებრის შესწავლის დროს ყურადღება მიექცეს არითმეტიკაში შესწავლილი წესების განზოგადება-გაღრმავებას, — მოქმედებათა შესრულების კანონების განზოგადება კომპონენტებსა და შედეგებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება, ამოცანათა ამოხსნის კერძო და ზოგადი ფორმულების შედგენა, წილად კოეფიციენტიან გამოსახულებებზე მოქმედებათა შესრულება, ალგებრული გამოსახულებათა რიცხვითი მნიშვნელობის პოვნა, განტოლების ფესვების შემოწმება განსაკუთრებით მაშინ, როცა ფესვები წილადი და უარყოფითია—მეტი ყურადღება მიექცეს განტოლებათა გამოკვლევას, ამოცანების ამოხსნას განტოლებათა შედგენით და მიღებული ფესვების გამოკვლევას, როგორც ანალიზურად, ისე გრაფიკულად.

6. გეომეტრიის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თეორემათა შესწავლის დროს ფართოდ იქნას გამოყენებული ანალიზური მეთოდი. დაცული იქნეს მათემატიკურ დებულებათა წესების და თეორემების ზუსტი მათემატიკური თერმინებით გადმოცემა. თეორემის შესწავლასთან დაკავშირებით ფართოდ იქნას დამუშავებული გეომეტრიული ამოცანები აგებაზე და გამოანგარიშებაზე.

7. ტრიგონომეტრიის კურსის შესწავლისას უფრო მეტი დრო დაეთმოს ტრიგონომეტრიული ფუნქციების საფუძვლიანად დამუშავებას, ვარჯიშს ტრიგონომეტრიულ იგივეობათა დამტკიცებაზე და გეომეტრიული ამოცანების ამოხსნას ტრიგონომეტრიის გამოყენებით.

8. საჭირო ყურადღება მიექცეს მათემატიკურ დისციპლინათა შორის მჭიდრო კავშირს და მათემატიკის გამოყენებას სხვა დისციპლინებში (ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, სამხედრო საქმე, ხაზვა და სხვ.) სისტემატურად წარმოებდეს სათანადო ფორმულების ამოხსნა მასში შემავალი ასოების მიმართ.

9. გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყოების შესაძენად. მათემატიკის მასწავლებლებმა სხვადასხვა საკითხების დამუშავების დროს მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინო ხელსაწყოები და მასალები.

10. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სისტემატურად შეამოწმონ მათემატიკის მასწავლებლების სამუშაო გეგმები, ხშირად დაესწრონ მათ გაკვეთილებზე და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს.

11. მათვე, როგორც წესი, აწარმოონ სამუშაო და საკონტროლო რვეულების ხშირი გარჩევა-განხილვა და მიუთითონ მასწავლებლებს არსებული ნაკლის გამოსწორების გზებისა და საშუალებების შესახებ.

12. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ადგილზე გამოცდილი პირების მივლინებით კონკრეტული დახმარება გაუწიოს მათემატიკის მასწავლებლებს, პერიოდულად მოაწყოს მათემატიკის მასწავლებელთა სარაიონო თათბირები, სადაც მოსმენილი იქნეს მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითმა პედ. ინსტიტუტმა უზრუნველყოს მათემატიკის სწავლების ძირითად საკითხებზე საჭირო მეთოდური წერილების დამუშავება-გამოცემა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათემატიკის სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეს და სკოლებისათვის დახმარების გაწევას ადგილზე მისვლით.

14. მათემატიკის საგნობრივმა კომისიებმა იმგვარად გარდაქმნან მუშაობა, რომ საგნობრივი კომისიის მუშაობის თემატიკა იყოს კონკრეტული, საგნობრივი კომისიის სხდომებზე ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარების მიზნით სისტემატურად ეწყობოდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მათემატიკის ცალკეული საკითხების დამუშავების მეთოდების შესახებ.

**საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი**

**უშ. ობოლაძე**

Утверждено
Коллегией Наркомпроса
Грузинской ССР
4 февраля 1941 года

# О СОСТОЯНИИ ПРЕПОДАВАНИЯ РУССКОГО ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ НЕРУССКИХ ШКОЛАХ ГРУЗИНСКОЙ ССР ЗА ПЕРВОЕ ПОЛУГОДИЕ 1940/41 УЧЕБНОГО ГОДА.

Коллегия отмечает, что в деле реализации постановления ЦИК и СНК Грузинской ССР от 13 апреля 1938 года «Об улучшении преподавания русского языка в нерусских школах», имеются значительные достижения: во многих нерусских школах республики **программный материал по русскому языку и литературе осиливается нормально** (средние школы гор. Боржоми, Гомская средняя школа, начальные классы Квишхетской (Хашурский р-н) средней школы, Гальская 1-я и 2-я средняя школа, сухумские педагогические училища—абхазское и армянское, Бахвская и Джуматская средние школы и другие).

Во многих школах **письменные работы проведены** в соответствии с нормами, установленными Наркомпросом, работы преподавателями исправляются внимательно.

Учащиеся обеспечены учебниками и учебными принадлежностями. Путем разговорных уроков и словарной работы преподаватели постепенно обогащают словарный запас учащихся, чем создается прочная база для осиления программного материала.

В ряде школ проводятся открытые уроки, преподаватели посещают друг друга и обмениваются опытом, налажена помощь молодым начинающим преподавателям (тбилисские школы, школы Кутаисского, Боржомского, Цхакаевского и других районов).

В школах постепенно налаживается внеклассное чтение учащихся и кружковая работа.

Образцом помощи, оказываемой молодым, начинающим преподавателям, может служить работа руководителя секции русского языка при педкабинете Боржомского района Гурамишвили, под руководством которой растет молодая учительница 1-й средней школы Кикнадзе, которая дает полноценные уроки. Также хорошо руководят секцией русского языка педкабинета Ланчхутского района методист Г. Ебралидзе.

Работа преподавателя Боржомской 1-й средней школы М. Кения—показатель того, как при старании преподаватель может добиться высоких показателей работы как в отношении культуры устной, так и письменной речи учащихся при полном осилении программного материала. Наличие 24 отличников в IX и X классах этой школы—доказательство подлинно высококачественной работы преподавателя Кения.

Хорошую работу проводит преподаватель русского языка III и IV классов Квишхетской средней школы Окрошидзе. Учащиеся IV класса пишут одинаково хорошим почерком, преподавательница вполне добилась того, что учащиеся подражают ей.

Хорошо работают преподаватели Гомской средней школы (тов. Н. Анджапаридзе), Цхакаевской 1-й и 2-й средней школы (Нодия, Чхетия, Чачибая и др.), Абашской средней школы (преподаватель Качарава).

Удовлетворительно налажена работа также в III и IV классах Гульрипшской и Гальской средних школ (Абхазская АССР).

Наряду с этим коллегия отмечает, что в ряде школ имеются серьезные недочеты:

а) в III и IV классах пока еще русский язык в основном преподают учителя, не овладевшие русским языком; не всегда готовятся к урокам, коверкают текст и допускают ошибки в ударениях при наличии последних в учебнике

(в Чхарском, Сачхерском и других районах);

б) в некоторых школах не налажена работа предметной комиссии по русскому языку (Карельская средняя школа, Кехиджварская и Квенаткоцкая неполные средние школы, Карельский район), Осяурская (Хашурский район) и Цагверская (Боржомский район) средние школы и другие);

в) в годовых календарных планах преподавателей имеются уклонения от программы Наркомпроса. В VIII, IX, X классах Хашурской 2-й средней школы, в школах гор. Кутаиси и в V классе Обшквитской средней школы пропущена часть программного материала, а преподавателями Саройской (Аспиндзский район) и IV класса Квенаткоцкой неполной средней школы календарные планы совершенно не составлены (преподаватели Цитланадзе и Уротадзе).

Преподавателем Хизабаврской средней школы Косоротовым годовой календарный план составлен неправильно. В плане за первую четверть предусматривается исключительно грамматический материал, литературному материалу отводится только 2 часа («Станционный смотритель» Пушкина не был закончен 16 ноября);

г) отдельные преподаватели уроки проводят на низком методическом уровне: преподаватель III и IV классов Контуатской неполной средней школы Рухадзе (Цулукидзевский район), слабо владея языком, не готовится к уроку и допускает ошибки, коверкает текст: вместо «в поле, в зелени лесной» прочла «в поле зеленой лесной». В плане урока V класса Осяурской средней школы препод. Гелашвили имеются ошибки орфографического и стилистического характера: «проработаного», «выучить новыхслов», «прочитут ученики», упражнение по граматике», «подлежащи».

Преподаватель базовой начальной школы при Хашурском педучилище, допускает ошибки в отношении постановки ударений «сеять», «репа», «медведю» (материал урока «Мужик и медведь»).

Преподаватель Хизабаврской средней школы Косоротов, не владея грузинским языком, мало готовится к урокам, ведет беседу, как с русской аудиторией, учащиеся не могут уследить за темпом его беседы, не понимают его. Преподавателем не использован для себя словарь, имеющийся в конце книги. В результате этого, об'ясняя на грузинском языке слова, допускает ошибки и неточности («Новая школа»—ახალი სკოლა, ««грачи»—ჩიტი) и др. При этих условиях учащиеся, естественно, не имеют достаточного запаса слов, читают слабо, не могут дать цельного содержания и мало заинтересованы изучением русского языка;

д) в количественном и качественном отношении во многих школах плохо обстоит дело с письменными работами.

Так, в старших классах Карельской средней школы к 12 октября проведено 1-2 работы, в Квенаткоцкой неполной средней школе письменные работы проведены в недостаточном количестве, то же самое в VII—IX классах Квишхетской средней школы, в V классе Саройской неполной средней школы, в IX и X классах Цагверской средней школы к 28 ноября проведено по одной работе.

Почти во всех работах имеются пропуски ошибок, в результате чего и оценки работ неправильны.

Оценки письменных работ не совпадают с выводами в конце четверти: 7 учащихся VIII и IX классов Цагверской средней школы за первую четверть имели оценки плохо и посредственно (по письму); несмотря на это, в конце первой четверти им выведены отметки «отлично».

е). в большинстве школ не налажены внеклассное чтение и кружковая работа. В библиотеках отсутствует необходимая для внеклассного чтения литература, в стенгазетах школ нет уголка русского языка и т. д.

и) Школы плохо обеспечены дидактическими пособиями (разрезная азбука, картины, грамматические таблицы и т. д.), а в школьных библиотеках отсутствует методическая литература для преподавателей.

з) Не всюду директора и заведующие учебной частью в результате посещения уроков оказывают преподавателям помощь.

г) Плохо обстоит дело проведения

педагогической практики по русскому языку в Толошском педагогическом училище: в плане проведения педагогической практики русский язык совершенно не предусматривается. Не проходится также методика преподавания русского языка.

л) К недочетам в работе отдельных преподавателей относится и то, что преподаватели не обращают внимания на такой важнейший раздел работы, каковым является самостоятельная передача содержания проходимого литературного материала учащимися, что часто подменяется ответами учащихся на вопросы преподавателя или беседой самого преподавателя (Осяурская средняя школа).

Общим недостатком всех школ и класов является то, что учащиеся нетвердо знают основной раздел грамматики — **склонение,** что в дальнейшем служит препятствием для осиления других разделов грамматики

**Коллегия постановляет:**

1. Директорам (зав.) школ, зав. учебной частью и преподавателям русского языка:

а) не допускать случаев уклонений от установки Наркомпроса в отношении составления годового календарного плана, тематического и плана уроков, в отношении официальной программы, оценки познаний учащихся, налаживания работы предметной комиссии;

б) директорам (зав) школ и завед. учебной частью путем посещения уроков преподавателей русского языка, просмотра письменных работ, усиления работы предметной комиссии оказывать дифференцированную помощь преподавателям русского языка, заслушивать доклады последних на заседании педагогического совета и намечать мероприятия по улучшению их работы.

Им же пополнить школьную библиотеку соответствующей литературой для внеклоссного чтения и наладить работу библиотеки в этом направлении, пополнить школьные библиотеки произведениями классиков русской и иностранной литературы, а также методической литературой на русском языке.

в) Снабдить школы необходимыми наглядными пособиями (разрезная азбука, таблицы, картины).

г) Наладить в школах в обязательном порядке кружковую работу преподавателей русского языка с вовлечением в эту работу также и преподавателей других дисциплин.

д) Преподавателям русского языка на основе предварительно продуманных и соответственно составленных планов усилить разговорные уроки, развернуть высококачественную работу по всем разделам—словарную работу учащихся, кружковую работу, внеклассное чтение, обратить особое внимание на самостоятельную передачу содержания проходимого материала учащимися и этим путем усилить интерес учащихся по овладению русским языком.

е) Преподавателям же русского языка особое внимание уделить усилению и укреплению культуры письма среди учащихся, для чего: письменные работы—домашние и классные—проводить в количестве, предусмотренном инструкцией НКП, приучить учащихся писать, в соответствии с уровнем подготовки их, в доступных предложениях; письменные работы исправлять аккуратно и внимательно и при выводе оценки (отметки) иметь ввиду все стороны письма—внешнюю и внутреннюю;

и) в целях лучшей подготовки преподавателей начальных школ по русскому языку в педагогических училищах усилить педпрактику по русскому языку с расчетом, чтобы каждый учащийся педучилища на основе предварительно составленного подробного конспекта дал не менее 1 и 2 уроков.

Разбор урока проводить на русском же языке и использовать его для усиления словарного запаса учащихся и усвоения ими соответствующих терминов, связанных с организацией и проведением урока.

2. Зав. ОНО и районному педкабинету систематически проверять постановку изучения русского языка в школах районов, выполнение официальной программы и нормы письменных работ, кружковую работу учителей рус-

ского языка, вопросы внеклассного чтения, и на месте же принимать меры по изжитию имеющихся недочетов.

Педкабинету возглавить работу и оказывать помощь работе кустовых об'единений и предметной комиссии по русскому языку, по организации открытых уроков и обмену опытом, обобщать опыт работы лучших учителей русского языка с доведением его до школ.

3. Институту усовершенствования учителей в плане оказания помощи учителям русского языка особое внимание уделить преподавателям русского языка в начальных школах.

В плане летних курсов переподготовки учителей предусмотреть максимальный охват преподавателей русского языка III и IV классов.

4. Научно-исследовательскому институту школ составить рекомендательный список книг для пользования преподавателями русского языка.

5. Сахелгами издать 20 названий грамматических таблиц, закончив издание с соответствующим тиражем к 1 августа 1941 г.

6. Управлению начальной и средней школы:

а) перестроить педпрактику в педучилищах в соответствии с пунктом 1 настоящего постановления (д);

б) за II полугодие учебного года предусмотреть максимальный охват школ и учителей для оказания им помощи, а также охват некоторых уже охваченных школ в целях проверки выполнения указаний, данных во время первого обследования.

ეროვნული

7. На республиканском совещании районного актива в повестку дня включить вопрос постановки изучения русского языка.

8. При обследовании школ всем инспекторам НКП обратить внимание на постановку изучения русского языка и давать вопросу соответствующее направление, проверяя также, как преподаватели русского языка работают над повышением своей идейно-политической и методической квалификации, какую литературу читают на русском языке (литературные произведения, журналы, газеты, методическая литература и др.).

Им же на основе материалов обследования школ данного района проводить совещания преподавателей русского языка, организуя обсуждение актуальных вопросов.

9. За неналаженность работы предметной комиссии по русскому языку и несвоевременное составление годового календарного плана ОНО Боржомского района наложить взыскание на преподавателя русского языка Цагверской школы на тов. Я. Никитина.

10. Настоящее постановление коллегии обсудить на заседании педагогического совета, которому наметить мероприятя по решительному улучшению работы по русскому языку.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიისა და საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომისა

**(ოქმი 1941 წ. 28/1)**

სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებათა და საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ისტორიული ყრილობის მიერ სახალხო განათლების დარგში დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში 1939/40 სასწავლო წელს საქართველოს სსრ ბევრმა მასწავლებელმა, სკოლამ და რაიონმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების, მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების გაუმჯობესების, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლების, ორწლიანობისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის და სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში ახალი გამარჯვებები მოიპოვეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ლანჩხუთის, მახარაძის, წულუკიძის, ზესტაფონის, აბაშის, ბათუმის, და ოჩამჩირის რაიონები.

ამ დიდ წარმატებებს მასწავლებლებმა, სკოლებმა და რაიონებმა მიაღწიეს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, რომელიც დადებული იყო საქართველოსა და სომხეთის სსრ განსახკომებს შორის, რესპუბლიკის რაიონებსა, სკოლებსა და მოსწავლეთა შორის.

განიხილეს რა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მასალები, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი და საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. საყოველთაო - სავალდებულო სწავლების კანონის წარმატებით გატარებისათვის, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის, ლანჩხუთის რაიონს (გან. განყ. გამგე გ. ჩხეიძე, დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გრ. კვაჭაძე) გადაეცეს საქართველოს განსახკომის და საქ. დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ც. კ. გარდამავალი წითელი დროშა.

II — გადაეცეს ქების სიგელები:

1. ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლას (დირექტორი— ჩიკვაიძე).

2. მახარაძის რაიონის I-საშუალო სკოლას (დირექტორი—დოლიძე).

3. აბაშის I-საშუალო სკოლას (დირექტორი—ქოიავა).

4. წალენჯიხის რაიონის ნაკიფუს საშუალო სკოლას (დირექტორი—მალაშხია).

5. გორის რაიონის პატარა მეჯვრისხევის არასრულ საშუალო სკოლას (დირექტორი —ხომასურიძე).

6. სოხუმის რაიონის გულრიფშის საშუალო სკოლას (დირექტორი—შექიშვილი).

7. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, სტალინირის რაიონის რუსთავის საშუალო სკოლას (დირექტორი—ბიციევი).

8. ხაშურის მეორე საშუალო სკოლას (დირექტორი—მეტრეველი).

9. ქ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლას (დირექტორი—ბერიშვილი).

10. ძველი აბაშის დაწყებით სკოლას (გამგე—ქოიავა).

11. ქ. თბილისის მე-89 სომხურ საშუალო სკოლას—(დირექტორი—გულანიანი).

III—საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ მასწავლებლებს, სკოლებს და განათლების განყოფილებებს ფართოდ გამოეხმაურონ გორის რაიონის მასწავლებელთა და განათლების განყოფილების მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20-წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატივას და სოციალისტური შეჯიბრების გაშლით მიაღწიონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში ახალ წარმატებებს, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების [illegible]ნის განუხრელად გატარებას, საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილებათა სკოლებში გადატანას.

IV. სოც. შეჯიბრების შედეგების შემდგომი შემოწმება მოხდეს 1940/41 სასწავლო წლის დასასრულს.

საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარი გ. კიკნაძე

საქართველოს დაწყ. და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ც. კ. თავმჯდომარე

ა. მურუსიძე

---

## ავტონომიური სს რესპუბლიკების განსახკომებს, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სარაიონო კომიტეტებს (რწმუნებულებს).

ფიზკულტურა და სპორტი მასების კომუნისტური აღზრდის განუყრელი ნაწილია. ფიზკულტურა და სპორტი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი **სტალინი** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ფიზიკურ აღზრდას. ფაბრიკებსა და ქარხნებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში იზრდება ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან. (ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობაზე).

მშთ-ს ნიშნოსანთა მომზადების დარგში 1941 წლის სახელმწიფო დავალების საუკეთესოდ შესრულების მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევიან:

1. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სარაიონო კომიტეტებმა (რწმუნებულებმა) და სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებებმა ხელი შეუწყონ ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და საკლუბო დაწესებულებებს „მშთ"-ს ფიზკულტურული კომპლექსის ფართო პროპაგანდასა და სახელმწიფო დავალების შესრულებაში.

ამისათვის ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმა: ლექციები, საუბრები, რადიოგადაცემები, კინო-ფილმების დემონსტრირება, სპეციალური კედლის გაზეთის გამოშვება, ფოტოვიტრინების, ფიზკულტურის კუთხეების მოწყობა და სხვა.

1. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობით შერჩეულ იქნას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურ-

ბიბლიოთეკა

ნეობების, მტს-ების, სოფლის სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთაც აქვთ მაჩვენებლები სრულიად-საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენის კანდიდატობისათვის.

3. გამოიყოს სტადიონებზე, სპორტ-მოედნებზე და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ადგილები „მშთ“ კომპლექსის მიხედვით მეცადინეობის ჩასატარებლად პირველ რიგში უნდა მოეწყოს დაბრკოლებათა ზოლები; მომარაგებულ იქნას მეცადინეობისა და ნორმების ჩაბარებისათვის საჭირო სპორტინვენტარის მინიმუმი (სასწავლო შაშხანები, თოვლიან რაიონებში—თხილამურები, ტანსავარჯიშო იარაღები და სხვ.) და შეიქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ თითოეულმა მშრომელმა წარმატებით ჩააბაროს ნორმები ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“.

4. ქოხ-სამკითხველოებმა, კულტურის სახლებმა, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებმა კვირაში ერთხელ გამოჰყონ თავიანთი შენობები ფიზკულტურული მეცადინეობის ჩასატარებლად.

5. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებმა (რწმუნებულებმა) ჯანმრთელობის დაცვის სარაიონო განყოფილებებთან ერთად უზრუნველჰყონ საექიმო კონტროლის ორგანიზაცია ყველა ფიზკულტურელზე.

6. ფიზკულტურულ ღონისძიებათა (აგიტგადარბენები, ლაშქრობანი, მასობრივი შეჯიბრებანი, ფიზკულტურული კუთხეების, გამოფენების ორგანიზაცია, ლიტერატურის შეძენა, სპეციალური კედლის გაზეთის გამოშვება და სხვ.) გასატარებლად ქოხ-სამკითხველოებმა, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებმა და კულტურის სახლებმა, ბიბლიოთეკებმა 1941 წლის ხარჯთაღრიცხვაში გაითვალისწინონ სათანადო ასიგნობანი და ამასთან ერთად მოიზიდონ პროფკავშირების, კოლმეურნეობების და სხვა ორგანიზაციების სახსრები.

7. პოლიტგანმუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში გათვალისწინებულ ყველა საკურსო ღონისძიების პროგრამებში შეტანილ იქნას ფიზკულტურისათვის სპეციალური საათები ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან (რწმუნებულთან) შეთანხმებით.

8. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სარაიონო კომიტეტებმა (რწმუნებულებმა) უზრუნველჰყონ წვევამდელთა მომზადება ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“, რამიაც მათ აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ პოლიტგანდაწესებულებებმა.

9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფიზკულტურულ მუშაობაში მშრომელ ქალთა ფართო ფენების ჩაბმას.

10. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სარაიონო კომიტეტებმა (რწმუნებულებმა), სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებებთან და თავდაცვა-ავიაქიმის სარაიონო საბჭოებთან ერთად კომკავშირის სარაიონო კომიტეტებთან შეთანხმებით მიავლინონ სოფლად თავიანთი რწმუნებულები პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ფიზკულტურის საკოლმეურნეო კოლექტივებში წარმოებულ ფიზკულტურულ და თავდაცვითი მუშაობაში პრაქტიკული დახმარების გასაწევად და ამასთან ერთად ჩააბან ამ მუშაობაში აქტივისტები სოფლის ინტელიგენციიდან: ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, მუშურ-გლეხური წითელი არმიის თადარიგის მეთაურები და სხვ.

**საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავ-რე სხირტლაძე**

**საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე**

ვამტკიცებ
საქ. სსრ განსახკომის
მოადგილე მ. ბ[illegible]
14/XII 1940 წ.

# დებულება

## სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების პოლიტგანინსპექტორის მუშაობისა

### I. ზოგადი ნაწილი

1. სახალხო განათლების ყველა სარაიონო (საქალაქო) განყოფილებაში დაწესებულია პოლიტგანინსპექტორის თანამდებობა.

2. განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების გეგმისა და მითითებების საფუძველზე პოლიტგანინსპექტორი ანხორციელებს ხელმძღვანელობას რაიონში (ქალაქში) არსებულ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე: სარაიონო კულტურის სახლზე, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებზე, კულტურისა და დასვენების პარკებზე, სარაიონო, საქალაქო, საჯარო, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკებზე, ქოხ-სამკითხველოებზე, საკოლმეურნეო წითელ კუთხეებზე, სამხარეთმცოდნეო და სხვა ტიპის მუზეუმებზე, რომლებიც განათლების სახ. კომისარიატის სისტემაში შედიან, უწევს მათ ყოველდღიურ მუშაობაში კონკრეტულ დახმარებას, ხოლო სახელმწიფო კონტროლს უწევს სხვა უწყებების სისტემაში შემავალ კლუბებს, ბიბლიოთეკებს და მუზეუმებს.

3. პოლიტგანინსპექტორად დაინიშნება ის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა.

4. პოლიტგანინსპექტორებს, განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებათა გამგეების წარდგენით, ნიშნავს და ანთავისუფლებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში—ასსრ-ის განათლების სახ. კომისრები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—განათლების საოლქო განყოფილების გამგე, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებსა და ქალაქებში—საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი.

### II. პოლიტგანინსპექტორის მუშაობის შინაარსი

5. განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების პოლიტგანინსპექტორის მუშაობის შინაარსში შედის ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ პარტიისა და მთავრობის, განსახკომისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებათა და ღონისძიებათა განხორციელებაზე, აგრეთვე პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დახმარების გაწევა, რისთვისაც პოლიტგანინსპექტორი:

ა) კონტროლს უწევს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა შესრულებას;

ბ) სისტემატურად ამოწმებს საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა მუშაობას და ადგილზე დახმარებას უწევს მათ განახორციელონ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებანი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ხაზით;

გ) აწყობს საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო მუშაკთა სემინარებს, სადაც მუშავდება პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მიმდინარე საკითხები, რომლებიც ამ მუშაკთა პოლიტიკური მომზადების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებას შეეხება;

დ) აწყობს საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას დანარჩენ

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათათვის, რისთვისაც ამყარებს კავშირს განსახკომის პოლიტგანმუშაობის სამმართველოსთან არსებულ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის კაბინეტთან, აგრეთვე საუკეთესო მუშაკებს ავალებს მოხსენების გაკეთებას პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების თათბირებზე და აწყობს ექსკურსიებს საუკეთესო საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებებში;

ე) აყენებს განათლების განყოფილების წინაშე საკითხს სოფლის საბჭოების კულტსექციების თავმჯდომარეთა თათბირების მოწვევის შესახებ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის საკითხებზე;

ვ) ორგანიზებს კოლმეურნეთა კულტურული მოთხოვნილებების შესწავლის საქმეს;

ზ) ხელმძღვანელობს საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა მიერ პერიოდულ ანგარიშგებას მშრომელთა მასების წინაშე;

თ) ხელმძღვანელობს რაიონის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო მუშაკთა დაუწრებელ სწავლებას, აგრეთვე დაუსწრებელი ანტირელიგიური სწავლების საქმეს;

ი) აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

6. პოლიტგანინსპექტორი ანხორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სარაიონო სალექციო-საექსკურსიო ბიუროს მუშაობაზე.

7. პოლიტგანინსპექტორი ხელმძღვანელობს კლუბების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მიერ წლიური და კვარტალური გეგმების შედგენას და კონტროლს უწევს მათს შესრულებას.

8. პოლიტგანინსპექტორი კულტურის სახლს (სარაიონო კლუბს) და სარაიონო ბიბლიოთეკას აძლევს საჭირო მითითებებს, თუ როგორ გაუწიონ მეთოდური დახმარება რაიონის სხვა საკლუბო და საბიბლიოთეკო დაწესებულებებს.

9. პოლიტგანინსპექტორი მონაწილეობს განათლების სახკომისარიატის სისტემაში შემავალ საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა ქსელის დაგეგმვაში და მათი ბიუჯეტის შედგენაში და კონტროლს უწევს ამ გეგმისა და ბიუჯეტის შესრულებას.

10. პოლიტგანინსპექტორი მონაწილეობს რაიონის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა მშენებლობის, რემონტისა და მოწყობილობის გეგმების შედგენაში და თვალყურს ადევნებს ამ გეგმების განხორციელებას.

11. პოლიტგანინსპექტორი მონაწილეობს კოლმეურნეობათა მიერ კულტმუშაობის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში და საკოლმეურნეო კლუბების საბჭოების მეშვეობით ამოწმებს ამ სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

12. პოლიტგანინსპექტორი, განსახკომის მიერ დამტკიცებული სპეციალური ფორმების მიხედვით, აწარმოებს როგორც არსებულის, ისე იმ საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო დაწესებულებათა რეგისტრაციას (პასპორტიზაციას), რომლებიც მომავალში გაიხსნება.

13. პოლიტგანინსპექტორი შეარჩევს და შეისწავლის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო მუშაკთა კადრებს, რომელთა დანიშვნა სწარმოებს თანახმად საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარიატის სპეციალური ინსტრუქციისა.

14. პოლიტგანინსპექტორი სისტემატურად ადევნებს თვალყურს რაიონის (ქალაქის) პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დროულად დაფინანსებას, მათს უზრუნველყოფას გათბობა-განათებით, სამეურნეო და კულტურული ინვენტარით, ლიტერატურით, თვალსაჩინო ხელსაწყოებით და სხვა საჭირო ნივთებით.

15. პოლიტგანინსპექტორი სისტემატურად სწავლობს პოლიტგანმუშაკთა უფლებრივ-მატერიალურ მდგომარეობას, მათს მოთხოვნილებებს, წინადადებებს, შეკითხვებს და ამ მხრივ ყველა საჭირო შემთხვევაში ღებულობს განათლების განყოფილების მეშვეობით სათანადო ზომებს.

## III. პოლიტგანინსპექტორის მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები.

16. პოლიტგანინსპექტორი უშუალოდ ექვემდებარება განათლების განყოფილების გამგეს და მუშაობს განათლების განყოფილების გამგის მიერ დამტკიცებული კვარტალური გეგმების საფუძველზე.

17. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საორგანიზაციო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობას პოლიტგანინსპექტორი აწარმოებს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის უშუალო შესწავლით, ამ დაწესებულებათა საბჭოების სხდომებზე დასწრებით და სხვ.

18. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგების შესახებ, როგორც წესი, პოლიტგანინსპექტორი მოხსენებას აკეთებს პოლიტსაგანმანთლებლო დაწესებულების საბჭოს სხდომაზე. საბჭოს სხდომის ოქმში აღინიშნება ის მიღწევები და ნაკლი, რომელიც ამ დაწესებულებას ახასიათებს მუშაობაში. ამასთან ერთად პოლიტგანინსპექტორი ადგენს წერილობითი სახით კონკრეტულ ღონისძიებებს და სტოვებს მას პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

19. საჭირო შემთხვევაში პოლიტგანინსპექტორი, განათლების განყოფილების გამგესთან შეთანხმებით, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოსაკვლევად იყენებს საზოგადოებრივ ინსპექტორებს და ცალკეულ პოლიტგანმუშაკებს. ასეთ შემთხვევაში გამოკვლევის და მისი შედეგების განხილვის წესი ისეთივეა, როგორც ეს წინა მუხლშია მითითებული.

20. თითოეული პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულების გამოკვლევის საფუძველზე პოლიტგანინსპექტორი განათლების განყოფილების გამგეს წარუდგენს:

ა) კონკრეტულ მოხსენებასა და დასკვნებს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულების საორგანიზაციო და სამეურნეო მუშაობის შესახებ;

ბ) დაწესებულების მუშაკების დახასიათებას, მათი დაწინაურების ან წახალისების მიზნით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) დასაბუთებულ წინადადებებს თავისი თანამდებობისათვის შეუფერებელი ამა თუ იმ პოლიტგანმუშაკის განთავისუფლების შესახებ.

21. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების გაცნობისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ განზოგადების მიზნით, განათლების განყოფილების გამგის დასტურით, პოლიტგანინსპექტორი:

ა) პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოკვლევის შედეგებს აცნობს პოლიტგანმუშაკთა თათბირებს;

ბ) საჭიროების დროს იწვევს გამოკვლევის შედეგების გასაცნობად რაიონის ან მისი გარკვეული უბნის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს;

გ) პოლიტსაგანმათლებლო დაწესებულებათა და მათი მუშაკების მუშაობას აშუქებს ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში.

22. პოლიტგანინსპექტორი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ დასაბუთებულ ანგარიშებს ადგენს ყოველი კვარტალისა და წლის ბოლოს.

## IV. პოლიტგანინსპექტორის უფლება-მოვალეობანი:

23. პოლიტგანინსპექტორს უფლება აქვს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოკვლევის დროს მოითხოვოს საჭირო მასალები და მისცეს მითითებანი მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდების გაუმჯობესების შესახებ.

24. პოლიტგანინსპექტორის მიერ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიცემულ მითითებათა შესრულება სავალდებულოა.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც პოლიტგანინსპექტორის დასკვნებს პოლიტსაგანმა-

8770

ნათლებლო დაწესებულება არ ეთანხმება, საკითხს საბოლოოდ სწყვეტს განათლების განყოფილების გამგე.

25. პოლიტგანინსპექტორი მოვალეა სისტემატურად მუშაობდეს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეზე, ეცნობოდეს პოლიტსაგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას, ჟურნალებს, გაზეთებს და სხვ.

26. რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოკვლევისას პოლიტგანინსპექტორი უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტრანსპორტით.

---

## გასწორება

კრებულის № 1-ში მოთავსებული ინსტრუქციის „სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებსა და მეთოდურ კაბინეტებში სამუშაო საათების მოწესრიგების შესახებ"—მე-17 მუხლი უნდა იკითხებოდეს ამგვარად: რაიონის განათლ. განყ. სკოლამდელი ინსპექტორების სამუშაო დრო არანორმირებულია. ქალაქის გან. განყ. სკოლამდელ ინსპექტორს და სკოლამდელი მეთოდური კაბინეტის მეთოდისტებს განათლ. განყ. გამგის ნებართვით შეუძლიათ აწარმოონ პედაგოგიური მუშაობა საშუალოდ არა უმეტეს 8 საათისა კვირაში.

---

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 25/III ფორმატი 8×12
ქაღალდის ზომა 70×105 ფორმათა რაოდენობა $1^1/_2$ სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ფორმაში 80.000.
ტირაჟი 3000, შეკვეთა № 634. უე11550
სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკასი", რუსთაველის პრ., 36.
Тип. „Заря Востока". Тбилиси, Руставели, 36.
Заказ № 634. Тираж 3000